ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში ევროპული უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი სტიპენდიების კანდიდატების შერჩევა.

2. კანდიდატები და სტიპენდიატები

კანდიდატები შეირჩევიან აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს ელექტრონულ სააპლიკაციო სისტემაში (mobility.tsu.ge) საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა)კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. შემოთავაზებული სამუშაო გეგმის გავლენა მშობლიური ფაკულტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებაზე (0-10)
2. მობილობის შესაძლო გავლენა მშობლიურ და მიმღებ უსდ-ებს შორის არსებული ინსტიტუციონალური კავშირების გაძლიერებაზე (0-15)
3. მობილობის განხორციელების მოტივაცია (0-10)
4. კომპეტენცია რელევანტურ უცხო ენაში (0-10)
5. საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის ახალი აპლიკანტი / ევროკავშირის მ იერ დაფინანსებულ პროგრამებში გამოცდილების არ მქონე (0-5)

4. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.